



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 25 აგვისტო

დისციპლინური საქმე №277/18
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 5 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის №224/293-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 4 იანვარს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ სრულიად უსაფუძვლოდ, დაუსაბუთებლად და უსამართლოდ უთხრა უარი კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის ნაწილში. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლეს მსგავს საქმეზე განსხვავებული გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რაც მოსამართლის მხრიდან წარმოადგენს თანასწორობის პრინციპის დარღვევას.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2018 წლის 25 აპრილს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის - --- მიმართ უკანონო მგლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

2018 წლის 4 მაისს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2018 წლის 11 მაისს განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 15 ივნისს.

2018 წლის 15 ივნისის საოქმო განჩინებით მოსამზადებელი სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის.

2018 წლის 6 ივლისს --- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 9 ივლისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მიღებაზე.

სასამართლოს სხდომები გაიმართა 09.07.2018; 26.07.2018 წწ პერიოდებში.

2018 წლის 19 ივლისს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 9 ივლისის განჩინებაზე.

2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ მოსარჩელე -- -- ეთქვა უარი.

2018 წლის 6 აგვისტოს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებაზე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემაზე უარის თქმის ნაწილში.

2018 წლის 31 აგვისტოს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2.2. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 13 სექტემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა მის შესავსებად.

2018 წლის 21 სექტემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად.

2018 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით -- -- განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 15 ნოემბერს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 25 ოქტომბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 დეკემბრის განჩინებით -- -- ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 5 დღის ვადა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს

კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს“.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სასამართლოს, როგორც ნეიტრალური არბიტრის მიერ მხარეთათვის შეჯიბრებითობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. ამასთან, დაუსაბუთებელი შუამდგომლობების სასამართლოს მიერ უარყოფა აღნიშნული პრინციპების დარღვევად ვერ იქნება მიჩნეული. პალატის მოსაზრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლების შეზღუდვად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმგვარი შეზღუდვა, რომელიც კანონით დადგენილი წესიდან გამომდინარეობს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და კერძო საჩივრის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინტერპრეტაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე გულისხმობს კანონის ერთგვაროვან გამოყენებას. განსხვავებული ინტერპრეტაცია - როგორც სასამართლო სისტემის დამახასიათებელი თავისებურება - დასაშვებია.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეს მსგავს საქმეზე განსხვავებული გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რაც მოსამართლის მხრიდან წარმოადგენს თანასწორობის პრინციპის დარღვევას, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი საქმე ინდივიდუალურ, სპეციფიკურ ნიშნებს შეიცავს, ამავდროულად, აღნიშნული საკითხი ორივე განჩინების მტკიცებულებათა კვლევას მოითხოვს, რაც დისციპლინურ სამართალწარმოებაში ვერ განხორციელდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას წყვეტს სასამართლო, ხოლო მხარე თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 იანვრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი